ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის ანგარიში.

წარმოგიდგენთ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის 2019 -2020 წლის ანგარიშს.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომისია მუშაობას წარმართავდა, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საკრებულოს რეგლამენტისა და კომისიის დებულების შესაბამისად.

2019-2020 წელს კომისიამ ჩაატარა 14 სხდომა, სხდომებზე განხილულ იქნა სხვადასხვა საკითხები. მათ შორის, იურიდიული და ფინანსური საკითხებიდან გამომდინარე ორჯერ გაიმართა გაერთიანებული კომისიების სხდომები. კომისიაში გაწევრიანებულია 10 საკრებულოს წევრი. კომისიის სხდომებს იწვევდა და წარმართავდა კომისიის თავმჯდომარე. მთავარი საკითხები იყო მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინტერესების პრობლემების შესწავლა და ამ კუთხით მათი დახმარების საკითხების განხილვა.

უმთავრესი საკითხებიდან ნაწილი, რომლებიც კომისიამ განიხილა და წერილობით მიაწოდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიას, მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ მიერ იქნა გათვალისწინებული და 2020 წლის ბიუჯეტში ჩასმული.

მსოფლიოში გავრცელებულმა ახალმა კორონა ვირუსის პანდემიამ შეცვალა მსოფლიოს მოსახლეობის ცხოვრების წესი და მათ შორის ბუნებრივია საქართველოშიც დისტანციურად მიმდინარეობდა და მიმდინარეობს სამსახურების სამუშაო განრიგი. ამან განსაკუთრებული ზეგავლენა მოახდინა საგანმანათლებლო, კულტურულ და სპორტულ დაწესებულებებზე. ბაგა ბაღებში, სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში შეწყდა მეცადინეობები და შესაბამისი სასწავლებლები გადავიდნენ ე.წ. მუშაობის ონლაინ რეჟიმზე. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში არსებული ყველა საგანმანათლებლო , კულტურული, სპორტული და სხვადასხვა პროგრამების განხორციელება დროებით შეწყდა და გადავიდა ზოგ შემთხვევაში ე.წ. ონლაინ ან იდივიდუალურ პროგრამებზე. დროებით შეჩერდა სპორტული შეჯიბრებები, სპექტაკლები, ცეკვის სტუდიები, ანსამბლების რეპეტიციები და ა. შ. იმედია სექტემბრის თვიდან აღდგება ცხოვრების ჩვეულებრივი რიტმი და ყველა ორგანიზაცია დაუბრუნდება ჩვეულ სამუშაო გარემოს.

აღნიშნულ პროგრამებს შორის ვერ ხორციელდება ბრაილის შრიფტის პროგრამის განახლება. მოგეხსენებათ აღნიშნული პროგრამა წლებია ხორციელდება ხარაგაულის მუნიციპალიტეტში. ჩვენ დამატებით განვსაზღვრეთ აღნიშნული პროგრამის დროში გაწერა, რასაც დასჭირდა დამატებითი ხარჯები, რაც გათვალისწინებულია 2020 წლის ბიუჯეტში და

აღნიშნულია პროგრამაში. აქვე ავღნიშნავთ, რომ ბრაილის შრიფტის პროგრამა საქართველოში ხორციელდება სულ ხუთ მუნიციპალიტეტში.

მოგეხსენებათ, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ 2020 წელს მიმდინარეობს ორი ახალი თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ბაღის მშენებლობა სოფელ ვერტყვიჭალაში და საღანძილეში, რომლებიც სავარაუდოდ 2020 წელს შევა ექსპლუატაციაში. სოფელ საღანძილეში საბავშვო ბაღი არ ფუნქციონირებდა და ამდენად სიახლეა და აუცილებელია არა მხოლოდ სოფელ საღანძილისათვის, არამედ მიმდებარე სოფლებისათვის. 2019 წელს განხორციელდა ხარაგაულის # 1 ბაღის გაზიფიცირება,ანალოგიურად 2020 წლის ზაფხულზე დაგეგმილია ხარაგაულის N 2 ბაგა-ბაღის გაზიფიცირება, რომლისათვისაც საჭიროა დაახლოებით 30 000 ლარი და რომლის განხორციელებისათვის დამატებით საჭიროა მოიძებნოს თანხა, რათა 2020 წელს მოხდეს N 2 ბაგა-ბაღის სრული გაზიფიცირება და ამ შემთხვევაში მოხდება დაბა ხარაგაულის ტერიტორიაზე არსებული ორივე ბაღის მთლიანი გაზიფიცირება, რაც უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯი იქნება, როგორც ფინანსური ასევე ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით. ამჟამად ტენდერზე გატანილია ღორეშის საბავშვო ბაღის და გედსამანიის მზაობის ჯგუფის შენობის რემონტი საერთო რაოდენობით დაახლოებით 50 000 ლარის ოდენობით, რომელიც სავარაუდოდ ზაფხულში დასრულდება.

კომისიის ფორმატში, კომისიამ საგანმანათლებლო რესურსცენტრთან ერთად მონაწილეობა მიიღო საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა - განხორციელებაში. 2020 წელს შერჩეულია 16 საჯარო სკოლა. მათგან ამჟამად რამდენიმე საჯარო სკოლაზე მიმდინარეობს საბუთების მომზადება და ტენდერზე გატანა. 2020 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სკოლა დაამთავრა 176 მოსწავლემ, მათ შორის 25 მედალოსანია, გვყავს 192 პირველკლასელი. მოგეხსენებათ სოფელ კიცხში მიმდინარეობს ახალი თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი სკოლის მშენებლობა, რომელიც გათვლილია 150 ბავშვზე, აღნიშნული სკოლა რეაბილიტაციაში შევა 2020 წლს. წელს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ იგეგმება სამი საჯარო სკოლის (სოფელ ვერტყვიჭალის, მარელისის და წყალაფორეთის) სრული რეაბილიტაცია, რომლის სავარაუდო ღირებულებაა დაახლოებით 6 მილიონი ლარი. კომისია 2019 წლის ოქტომბრის თვეში ჩართული იყო საგანმანათლებლო რესურსცენტრთან ერთად, მასწავლებლის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებების დაგეგმვაში, მასწავლებლების ფასიანი საჩუქრებისა და ჯილდოების გადაცემის საკითხებში.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიამ ა/წ გაზაფხულზე დაგეგმა და განახორციელა სოფელ ლეღვანში წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის გარშემო ცაცხვის ხეების დარგვა.

მოგეხსენებათ ბოლო წლებია ჩვენს ქვეყანაში აქტიური მუშაობა მიმდინარეობს პროფესიული განვითარების მიზნით მოსწავლეების აქტიური ჩართვისათვის და სხვადასხვა კვალიფიკაციისა და პროფესიების დაუფლების ხელშეწყობისათვის. ამჟამად ზესტაფონში გახსნილია შესაბამისი პროფესიული სასწავლებლები სადაც 12-მდე სხვადასხვა პროფესიას ეუფლებიან სტუდენტები უფასოდ. მეტიც, სასწავლებელში გაიცემა სტიპენდიები და სტუდენტები უფასოდ ათევენ ღამეს კოლეჯში არსებულ თანამედროვე სტანტარტებით აღჭურვილ შენობაში. აღნიშნული კოლეჯის მენეჯერებთან ერთად გვქონდა შეხვედრები მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებში, რათა სრულყოფილი ინფორმაცია მიგვეწოდებინა მოსახლეობისათვის, კოლეჯში მიმდინარე პროცესების თაობაზე.

კომისიის წევრები აქტიურად ვიყავით ჩართული ხარაგაულის მუნიციპალიტეტში არსებულ გენდერული საბჭოს მუშაობაში, ტრენინგებში, სხვადასხვა სახის აქტივობებში.

კომისია კულტურის შესაბამის სამსახურებთან ერთად ჩართული იყო მხარეთცოდნეობის მუზეუმში გამართულ ღონისძიებაში, სადაც დაახლოებით ორმოცდაათი მხატვარი ღებულობდა მონაწილეობას, რომელთაც შესრულებული ნახატები უსასყიდლოდ გადასცეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტს.

კომისიამ აგრეთვე მონაწილეობა მიიღო, სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადასცა ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის ლიტერატურულ თეატრის მიერ გამართულ ყოველწლიურ სამხატვრო „პლენერ გამაში“ მონაწილე მხატვრებს, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან იყვნენ მოწვეული. ზემოთ აღნიშნული კონკრსი ჩატარდა სოფელ ღორეშაში.

კომისიამ, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მოქმედ ა(ა) ი.პ -ების ხელმძღვანელებთან ერთად კიდევ ერთხელ იმსჯელა და მიიღეს ერთობლივი გადაწყვეტილება იმ სოციალურად დაუცველი მოსწავლეების გადასახადებისაგან გათავისუფლებისაგან, რომელთაც არ აქვთ საშუალება გადაიხადონ დამატებითი თანხები, მითუმეტეს აღნიშნული ა(ა) ი.პ -ების დაფინანსება ხდება ბიუჯეტის მიერ და ეს გადადგმული ნაბიჯი იქნება შვება იმ ადამიანებისთვის ვისაც ისედაც მცირე შემოსავლები გააჩნია.

მიუხედავად არაერთგზის მოთხოვნისა ჯერჯერობით ვერ ხერხდება დაბის ტერიტორიებზე ტრენეჟორების და საბავშვო სათამაშოების დადგმა, რაც ნამდვილად პრობლემაა როგორც მოსახლეობისათვის, ასევე განსაკუთრებით მომავალი თაობისათვის.

სამწუხაროდ, წლებია ახალგაზრდული პროგრამების კუთხით არსებობს გარკვეული სახის პრობლემები. მიუხედევად იმისა, რომ წელს ამ კუთხით დაიგეგმა და ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიებები, ობიექტური და ზოგჯერ სუბიექტური მიზეზების გამო (მათ შორის ფინანსების სიმწირის გამო)

წინასწარ ვერ იგეგმება ახალგაზრდული პროგრამები. კომისია გამოხატავს მზადყოფნას, მიიღოს და გაითვალისწინოს გონივრული წინადადებები და რეკომენდაციები ამ საქმეში გათვიცნობიერებულ კომპეტენტური ადამიანებისაგან.

როგორც ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის თავჯმდომარე და საკრებულოს წევრი, აქტიურად ვარ ჩართული იმ საკითხების მოგვარებაში, რომელიც შედის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის და სკრებულოს წევრის უფლემოსილების ფარგლებში.

კომისია, თავისი უფლებამოსილებიდან გამომდინარე გეგმიურად ხვდებოდა და ისმენდა ანგარიშებს საგანმანათლებლო, კულტურული, სპორტული ა(ა) ი.პ -ებთან და მათთან ერთად შეგვქონდა ცვლილებები სამუშაო გეგმებში, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

2020 წლის განმავლობაში დაგეგმილი იყო რამდენიმე მასშტაბური ღონისძიება, მათ შორის ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის თეატრის 120 წლის იუბილე, საქართველოს სახალხო არტისტის შოთა კიკნაძის 100 წლის იუბილე, რომელიც პანდემიის გამო, სავარაუდოდ წელს ვერ გაიმართება.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის თავმჯდომარე დავით კიკნაძე.